უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი **04.10.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. თემურ ტუნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. გივი ჭუმბურიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
თეა შაყულაშვილი;
გიული კალატოზიშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:25 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ სხდომის ხელმძღვანელად აირჩია საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის 1^2 პუნქტის თანახმად, სათათბირო ხმის უფლებით სხდომას ესწრებოდა მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია ასევე მონაწილობდეს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზრვრული პირი. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით 4 ოქტომბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, ნინო ფეტვიაშვილმა. ექსპერტის განცახდებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (მეხუთე საფეხური); ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მეხუთე საფეხური); პრაქტიკოსი ექთანი (მეხუთე საფეხური); ბუღალტერი (მეხუთე საფეხური); მეფუტკრე (მესამე საფეხური); ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი (მესამე საფეხური). წარმოდგენილ **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან** მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური), ბუღალტრის (მეხუთე საფეხური), მეფუტკრის (მესამე საფეხური) და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) მოდულურ პროგრამებში დარღვეულია პროგრამის მოცულობა იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების მიერ არჩევითი მოდულების ნაწილში დატოვებულია მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული არჩევითი მოდულები, რაც ოთხი მოდულური პროგრამის შემთხვევაში არასაკმარისია, ერთ შემთხვევაში კი ზედმეტი. კერძოდ: ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური) პროგრამას აკლია 10 კრედიტი (დაფიქსირდა 152 კრედიტი 162 კრედიტის ნაცვლად), პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) პროგრამას აკლია 4 კრედიტი (დაფიქსირდა 175 კრედიტი 179 კრედიტის ნაცვლად), მეფუტკრის (მესამე საფეხური) პროგრამას აკლია 9 კრედიტი (მოცემულია 90 კრედიტი 99 კრედიტის ნაცვლად), ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) პროგრამას აკლია 10 კრედიტი (მოცემულია 84 კრედიტი 94 კრედიტის ნაცვლად) და ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) პროგრამაში ზედმეტია 3 კრედიტი (მოცემულია 162 კრედიტი 159 კრედიტის ნაცვლად);

- მეფუტკრის (მესამე საფეხური) და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის

სპეციალისტის (მესამე საფეხური) მოდულურ პროგრამებში კომუნიკაციის, რაოდენობრივი წიგნიერების, მეწარმეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და უცხოური ენის (ინგლისური ენა) მოდულები არ შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ ზოგად სავალდებულო მოდულებს. კერძოდ, მეფუტკრისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრადაჭერის სპეციალისტის პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრული მესამე საფეხურის კომუნიკაციის (სარეგისტრაციო ნომრით - 0030102), რაოდენობრივი წიგნიერების (სარეგისტრაციო ნომრით - 0020101), მეწარმეობის (სარეგისტრაციო ნომრით - 0410001), საინფორმაციო ტექნოლოგიების (სარეგისტრაციო ნომრით - 0610001) და უცხო ენის - ინგლისური ენა (სარეგისტრაციო ნომრით - 0230101) მოდულების ნაცვლად პროგრამებით გათვალისწინებულია მეოთხე საფეხურის შემდეგი მოდულები: კომუნიკაცია (სარეგისტრაციო ნომრით - 0030103), რაოდენობრივი წიგნიერება (სარეგისტრაციო ნომრით - 0020102), მეწარმეობა (სარეგისტრაციო ნომრით - 0410002), საინფორმაციო ტექნოლოგიები (სარეგისტრაციო ნომრით - 0610002) და უცხო ენა - ინგლისური (სარეგისტრაციო ნომრით -0230102);

- მოდულური პროგრამების სასწავლო გეგმაში უმეტეს შემთხვევებში დარღვეულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

- დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში შეტანილი იქნა ცვლილება - ა(ა) იპ წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 ივნისის №5 საოქმო გადაწყვეტილებაში და ,,მეფუტკრის" მოდულური პროგრამა ამოღებული იქნა დამტკიცებული მოდულური პროგრამების ჩამონათვალის სიიდან;

- დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური), ბუღალტრის (მეხუთე საფეხური), გიდისა (მეხუთე საფეხური) და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) მოდულურ პროგრამებში გასწორდა არსებული ხარვეზები და დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 აგვისტოს №9 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) პროგრამებს დაემატა არჩევითი მოდულები, ხოლო ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) პროგრამას მოაკლდა ზედმეტი 3 კრედიტი. კერძოდ: 1. ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური) პროგრამას აკლდა 10 კრედიტი და დაემატა შემდეგი მოდულები: უცხო ენა - რუსული ენა (0230102) – 5 კრედიტი, პირველადი გადაუდებელი დახმარება (0910117) – 2 კრედიტი და კვანძური და ქსოვილის ლენტური ქარგვა (0210906) – 3 კრედიტი, სულ 10 კრედიტი. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა არ შეცვლილა; 2. პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) პროგრამას აკლდა 4 კრედიტი. არჩეული იქნა უცხო ენა - რუსული ენა (0230102) – 5 კრედიტი. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა გაიზარდა 1 კრედიტით და გახდა 180 კრედიტი; 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) პროგრამას აკლდა 10 კრედიტი და დაემატა შემდეგი მოდულები: Linux ოპერაციული სისტემის საფუძვლები (0610221) – 3 კრედიტი, Microsoft Wondows Server ოპერაციული სისტემის საფუძვლები (0610220) - 3 კრედიტი და უცხო ენა - რუსული ენა (0230101) - 4 კრედიტი, სულ 10 კრედიტი, შესაბამისად, პროგრამის მოცულობა არ შეცვლილა; 4. ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) პროგრამაში ზედმეტი იყო 3 კრედიტი (მოცემულია 162 კრედიტი 159 კრედიტის ნაცვლად). დაწესებულების გადაწყვეტილებით პროგრამიდან ამოღებული იქნა არჩევითი მოდული ,,სოფლის მეურნეობაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება" (0410721) – 3 კრედიტი. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა არ შეცვლილა;

- აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე შევიდა ცვლილება ყველა მოდულური პროგრამის №1 დანართში (სასწავლო გეგმა). სასწავლო გეგმების შემოწმების გზით დადგინდა, რომ ახალ სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

- ასევე, აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე

შევიდა ცვლილება ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის (მესამე საფეხური) პროგრამაში და მოდულები: კომუნიკაცია (სარეგისტრაციო ნომრით - 0030103), რაოდენობრივი წიგნიერება (სარეგისტრაციო ნომრით - 0020102), მეწარმეობა (სარეგისტრაციო ნომრით - 0410002), საინფორმაციო ტექნოლოგიები (სარეგისტრაციო ნომრით - 0610002) და უცხო ენა - ინგლისური (სარეგისტრაციო ნომრით -0230102) ჩანაცვლდა პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული შემდეგი მოდულებით: კომუნიკაცია (სარეგისტრაციო ნომრით - 0030102), რაოდენობრივი წიგნიერება (სარეგისტრაციო ნომრით - 0020101), მეწარმეობა (სარეგისტრაციო ნომრით - 0410001), საინფორმაციო ტექნოლოგიები (სარეგისტრაციო ნომრით - 0610001) და უცხო ენა - ინგლისური ენა (სარეგისტრაციო ნომრით - 0230101);

- გიდის (მეხუთე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნისა (მეხუთე საფეხური) და ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) მოდულური პროგრამებისათვის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ან ხელშეკრულება არ არის წარმოდგენილი.

- ასევე, პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) მოდულური პროგრამის შემადგენელი 23 ძირითადი სავალდებულო მოდულის 3.1 პუნქტში - მოდულის განხორციელების მიდგომები შენარჩუნებულია ჩანაწერი, რომ ,,მოდულის სწავლება ხორციელდება როგორც შესაბამისი სასწავლო დაწესებულების აუდიტორიაში/სიმულაციის ოთახში, ისე კლინიკაში". დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენელი შესაბამისი დოკუმენტი (მემორანდუმი ან ხელშეკრულება) იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მოდულების სწავლება დაწესებულების გარდა ასევე, განხორციელდება რომელიმე კლინიკაში.

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო **მატერიალურ რესურსთან** მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- გიდის (მეხუთე საფეხური) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარიდან დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მის საკუთრებაში არსებული: პარალონის ქვეშაგები (1 ცალი 1 პროფესიულ სტუდენტზე, სულ - 10 ცალი), ჭოგრი, საველე აფთიაქი და ამბუს ნიღაბი;

- მოდულების: პრაქტიკული პროექტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ჯგუფის მართვა, ექსკურსიის ჩატარება, მუზეუმის ტურის წარმართვა, რელიგიური ტურის წარმართვა, აღმოსავლეთ საქართველოში ტურის განხორციელება, დასავლეთ საქართველოში ტურის განხორციელება, სამხრეთ საქართველოში ტურის განხორციელება, საქართველოს მთიანეთში ტურის განხორციელება სწავლებისათვის, ზემოაღნიშნული მოდულების 3.5. პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით, საჭიროა სატრანსპორტო საშუალება და მომსახურეობა ტურებზე (1 პროფესიულ სტუდენტზე 1ადგილი), რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლებლის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სატრანსპორტო საშუალებასთან (მომსახურებასთან) დაკავშირებით მომზადებულია შესაბამისი ხელშეკრულება, მაგრამ ექსპერთა ვიზიტის პერიოდისათვის ხელმოწერილი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი;

- მოდულისათვის ,,კომპიუტერული ქსელის საფუძვლები" მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორცილების ძირითად ადგილზე სრულყოფილად არ არის დაკმაყოფილებული. აღჭურვილობას აკლია: გრაფიკული ინტერფეისის მქონე მულტიფუნქციური მოწყობილობა (მინიმუმ ერთი WAN ინტერფეისი, ოთხი LAN ინტერფეისი, 802.11 b/g/n-ის მხარდაჭერა) – 2 ცალი, ჰაბი (მინიმუმ 4 პორტით), ქსელისმზასადენი (პაჩკორდი) -UTP5 სტანდარტით - 2 ცალი, ქსელისთავსაჭერი - 4 ცალი, სახრახნისისნაკრები, მკვნეტარა - 4 ცალი, ელექტრობურღი (თავაკების ნაკრებით), ქსელის სადენის ჩამჭერი - 2 ცალი, ქსელის სადენის სათლელი - 4 ცალი;

- ასევე, მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, რაც საგანმანათლებლო

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე სრულყოფილად არ არის დაკმაყოფილებული მოდულებისათვის: კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია და პრაქტიკული პროექტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტისთვის. კერძოდ, ვერ იქნა წარმოდგენილი: ბრტყელტუჩას ნაკრები, მკვნეტარა, სარჩილავი მოწყობილობა, მულტიმეტრი (ელექტროტესტერი) - ელექტრონული, ფუნჯი - 3 ცალი, მინიმტვერსასრუტი, ანტისტატიკური სამაჯური - 3 ცალი, ანტისტატიკური ხალიჩა - 3 ცალი, ძაბვის ავტომატური მარეგულირებელი (AVR);

- პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) მოდულური პროგრამისათვის გამოყოფილია ერთი A და ერთი C სასწავლო გარემოს მოდელი. მოდულური პროგრამის შემადგენელი 23 ძირითადი სავალდებულო მოდულის 3.1 პუნქტში - მოდულის განხორციელების მიდგომები შენარჩუნებულია ჩანაწერი, რომ ,,მოდულის სწავლება ხორციელდება როგორც შესაბამისი სასწავლო დაწესებულების აუდიტორიაში/სიმულაციის ოთახში, ისე კლინიკაში", მაგრამ დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენელი შესაბამისი დოკუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მოდულების სწავლება დაწესებულების გარდა ასევე, განხორციელდება რომელიმე კლინიკაში;

- პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) პროგრამის შემადგენელი ძირითადი სავალდებულო პროფესიული და არჩევითი მოდულების 3.5 პუნქტის პირველი ნაწილით განსაზღვრული მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, ანუ აღჭურვილობა რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორცილების ძირითად ადგილზე, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. კერძოდ: დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ქვემოთვლილი აღჭურვილობა/ინვენტარი, რასაც მოდულების შესაბამისად ის უნდა ფლობდეს საკუთრებაში: მულიაჟი - უნივარსალური სასწავლო მანეკენი, მულაჟები (ჩონჩხი, კუნთები, შინაგანი ორგანოები), სასწორი/სიმაღლის საზომი (სამედიცინო სასწორი ორმაგი სახაზავით RGT.A-200-RT) – 2 ცალი, არტერიული წნევის საზომი აპარატი (მაჯის/მკლავის/ელექტრო), ფონედოსკოპი, მაკრატლები (ბლაგვწვერიანი; მოხრილი; მახვილწვერიანი; რბილი ნახვევის მოსახსნელი; ქირურგიული - მახვილი კბილებით. ანატომიური-განივი ჭდეებით), პინცეტი (ქირურგიული - მახვილი კბილებით. ანატომიური-განივი ჭდეებით), ამბუს ნიღაბი, ყავარჯენი, სასწავლო პლაკატები/ვიდეომასალა.

- რაც შეეხება, მოდულების 3.5 პუნქტის მეორე ნაწილით განსაზღვრული აღჭურვილობის გამოყენების შესაძლებლობას, რაც დაწესებულების მიერ შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნას ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე დაწესებულებაში ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე, პროგრამის სავალდებულო პროფესიულ და არჩევით მოდულებში ჩამოთვლილი არც ერთი აჭღურვილობისათვის არ არის დადასტურებული. მათ შორის, ქვემოთჩამოთვლილი დასახელების ინვენტარი არც დაწესებულებას გააჩნია საკუთრებაში/მფლობელობაში: ვიტალური მაჩვენებლების გასაზომი აპარატურა, გინეკოლოგიური იარაღების კომპლექტი: სარკე, ნაცხის ასაღები კომპლექტი და სხვა, სასუნთქი აპარატი, მონიტორი, ინფუზომატი, დეფიბრილატორი, ქირურგიული იარაღების კომპლექტი (სამედიცინო მაკრატელი, პინცეტი, მომჭერი, ენის დამჭერი, პირის გამღები, და სხვა), სასუნთქი სანარკოზე აპარატები, ლარინგოსკოპი, ენის დამჭერუ პირის გამღები (2 ცალი) სტერილიზატორი, სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, გლუკომეტრი, ბალიში (3 ცალი), სუდნო, დამხმარე სამედიცინო აღჭურვილობა (ეტლი, საკაცე, გადასაადგილებელი ფიქსატორი), გინეკოლოგიური მაგიდა, ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის საჭირო აღჭურვილობა (აპარატურა), დასაბანი აღჭურვილობის კომპლექტი, ნაწოლის საწინააღმდეგო ლეიბი, შარდმიმღები (4 ცალი), შარდისა და განავლის მიმღები (2 ცალი), პროცედურული (ქვიშის) საათების კომპლექტი, მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო სამედიცინო ინვენტარი და აღჭურვილობა;

- დაწესებულებამ წარმოადგინა წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის რექტორის

სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონის 2016 წლის 18 აგვისტოს N 01-07/16 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების სტრატეგიული 2016-2021 (ექვსწლიანი) და ერთწლიანი 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმები. დოკუმენტში არ არის დაზუსტებული განსახორციელებელი აქტივობები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები. არ არის გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა ცენტრში წარმოადგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციას გაეცნო ექსპერტი და ადასტურებდა დაწესებულების მიერ ხარვეზების გამოსწორების ფაქტს. კერძოდ, დაწესებულების მიერ იქნა წარმოდგენილი გიდის (მეხუთე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნისა (მეხუთე საფეხური) და ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამებისათვის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმიები და ხელშეკრულებები. ასევე, პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) მოდულური პროგრამის შემადგენელი 23 ძირითადი სავალდებულო მოდულის სწავლებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენელ იქნა შესაბამისი დოკუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მოდულების სწავლება დაწესებულების გარდა ასევე, განხორციელდება კლინიკაში. მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ იქნა იმ ნივთების შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელებიც არ ჰქონდა დაწესებულებას ვიზიტის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა პროფესიული პროგრამების განხორციელებით მოეზიდა ზემო აჭარისა და მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობა. დაწესებულებაში პროფესიულ პროგრამებზე სწავლა უფასო იქნებოდა ისევე, როგორც უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე იყო. დაწესებულების მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება დასაქმებაში, პროფესიული კვალიფიკაციის შეძენით, რითაც უნდა შემცირებულიყო თურქეთში სამუშაოდ წამსვლელთა რაოდენობა. წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი და გაითვალისწინა რეკომენდაციები.

თამარ ზარანდიამ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი ადგილის გამოყოფა სურდა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან და რამდენი სტუდენტის მიღება სურდა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან 1000 ადგილი გამოყოფილიყო პროფესიული სტუდენტებისათვის. რაც შეეხებოდა თოთოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღრულ რაოდენობას: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (მეხუთე საფეხური) – 30 ადგილი; ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მეხუთე საფეხური) – 30 ადგილი; პრაქტიკოსი ექთანი (მეხუთე საფეხური) – 60 ადგილი; ბუღალტერი (მეხუთე საფეხური) – 30 ადგილი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი (მესამე საფეხური) – 60 ადგილი.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო დასახელებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა მხოლოდ ორ ცვლაში სწავლების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	156	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
2	ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	162	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
3	ბუღალტერი	მეხუთე	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	159	30	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
4	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	180	60	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)
5	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	94	60	შუახევის რაიონი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა შაყულაშვილმა. ექსპერტის განცხადებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: მათემატიკა - საბაკალავრო; მატემატიკა - სამაგისტრო; ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების - სამაგისტრო; საჯარო მმართველობა - სამაგისტრო. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის დროს გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- აკადემიური პერსონალი, რომელმაც უნდა განახორციელოს მათემატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, ვიზიტის პროცესში დაწესებულებას არ ჰყავდა, თუმცა გამოცხადებული იყო შესაბამისი კონკურსი;
- წიგნადი ფონდი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებთან, თუმცა რიგი სახელმძღვანელოები გამოცემულია 1964წ., 1981 წ. აუცილებელია მათი ჩანაცვლება თანამედროვე ლიტერატურით;
- დაწესებულებამ წარმოადგინა წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის რექტორის სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონის 2016 წლის 18 აგვისტოს N 01-07/16 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების სტრატეგიული 2016-2021 (ექვსწლიანი) და ერთწლიანი 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმები. დოკუმენტში არ არის დაზუსტებული განსახორციელებელი აქტივობები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები. არ არის გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები;
- მათემატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსი არ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ კონკურსის გამოცხადების წესს. კერძოდ, როგორც კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში, ასევე გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში დარღვეულია გამოცხადებისა და საკონკურსო საბუთების მიღების დაწყებას შორის არსებული სავალდებულო ერთთვიანი ვადა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მოამზადა ბრძანებასა და საჯარო ინფორმაციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონკურსის გამჭვირვალობა და საჯაროობა;
- ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა შრომის კოდექსით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნათა ნაწილს, რისი შეცვლა-გაახლებაც მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდშივე;
- მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია რუსულ და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენცია, არ იქნება საკმარისი ამ სახელმძღვანელოებით სარგებლობისათვის;

- მატემატიკისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები არ ითვალისწინებს არცერთი უცხო ენის სწავლებას. იმ დროს, როცა ორივე სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში გაწერილია, რომ კურსდამთავრებული შეძლებს თავისი კვლევის მეთოდებისა და დასკვნების წარდგენასა და არგუმენტაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში ქართულ და უცხოურ ენებზე;

- მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტებულია მხოლოდ მათემატიკისა და ფიზიკის მიმართულებები, ვფიქრობთ უმჯობესი იქნება არ შეეზღუდოს ინჟინერიისა თუ სხვა ტექნიკური მიმართულების ბაკალავრებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძლების შესაძლებლობა;

- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია ყველა კურსის სილაბუსში, თუმცა მეტწილად უნიფიცირებული სახით ყველა საგნისათვის, რაც ვფიქრობთ არ იძლევა სტუდენტის რიგი უნარების სრულდ შეფასების საშუალებას, სასურველია შეფასების მეთოდების შერჩევა მოხდეს საგნის სპეციფიკის გათვალისიწინებით, სასურველია დიახვეწოს შეფასებათან დკაავშორებული ტერმინოლოგია და მოვიდეს შესაბამისობაში მინისტრის ბრძანებასთან. გაურკვევლია სტუდენტის შეფასების წესში კომპონენნტებს შორის რეფერატის შეფასების როლი და ხვედრითი წილი;

- სამაგისტრო პროგრამის ,,მათემატიკა" აღწერილობით ნაწილსა და სტრუქტურაში ინფორმაცია პროგრამის მოცულობისა და კრედიტების განაწილების შესახებ ურთიერთგამომრიცხველია. დასაზუსტებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების კრედიტების მოცულობა და თანაფარდობა;

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში კრედიტების შესაბამისი საათების განაწილების შესახებ ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო აუდიტორულ და დამოუკიდებელ საათებს, დასამატებელია საგამოცდო საკონტაქტო საათების რაოდენობა და ამავდორულად, სასურველია მიეთითოს სასწავლო კურსების წინაპირობები;

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ,,მათემატიკა" რიგი სასწავლო კურსები, ,,გეომეტრია და ტოპოლოგია", ,,მათემატიკური ლოგიკა" გაორებულია, რაც ეწინააღმდეგება განათლების ორი სხვადასხვა საფეხურების პროგრამების მიზნებსა და შედეგებს;

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ,,მათემატიკა" სასწავლო კურსების წინაპირობები რიგ შემთხვევაში არა ლოგიკურია.

ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა ცენტრში წარმოადგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციას გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი და ადასტურებდა დაწესებულების მიერ ხარვეზების გამოსწორებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების ფაქტს საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით დაწესებულების მისიაში დაფიქსირებული მიზნები ვერ იქნებოდა მიღწეული ხარვეზიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფონზე. ამასთან, ექსპერტებს მცირე დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ საფუძვლიანად შეესწავლათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა დარწმუნებული იმ გარემოებაში, ყველა ხარვეზი გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს გრიგოლ მურღულიას მოსაზრება ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ბაკალავრიატი	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი
2	მაგისტრატურა	მათემატიკა	მათემატიკის მაგისტრი

3	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
4	მაგისტრატურა	საჯარო მმართველობა	საჯარო მმართველობის მაგისტრი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში გადამოწმდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების ფაქტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 13:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
ანანო გიორგაძე